საქართველოს მეფუტკრეთა საზოგადოება მწვანე სკა

წესდება

თავი I

ძირითადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1.1 საქართველოს მეფუტკრეთა საზოგადოება მწვანე სკა (შემდგომში მოხსენიებული, როგორც საზოგადოება) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად. ის აერთიანებს მეფუტკრეობის სფეროში გამოცდილებისა და ცოდნის მქონე, აგრეთვე მეფუტკრეობით დაინტერესებულ პირებს.

1.2 საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი. საზოგადოება დაფუძნებულია 2021 წლის 15 თებერვალს

1.3 საზოგადოების სახელწოდებაა - ქართულად : არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს მეფუტკრეთა საზოგადოება მწვანე სკა.

ინგლისურად : Non-entrepreneurial (non commercial) Legal Entity: Georgian Beekeepers Society Green Hive.

1.4 საზოგადოება, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.

1.5 საზოგადოების ოფიციალური იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სპირიდონ კედიას ქ. N 10 დ. ბ N 27

1.6 საზოგადოების ოფიციალური ელექტრონული ფოსტის მისამართია: green.hive@yahoo.com

1.7 საზოგადოება არ არის დაფუძნებული წევრობაზე.

1.8 საზოგადოება თავის საქმიანობას ახორციელებს თანასწორუფლებიანობის პრინციპის დაცვით, განურჩევლად რასისა, კანის ფერისა , ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა. საზოგადოების საერთო პრობლემები იხილება, მუშავდება და წყდება კოლეგიალურად, ღიად და საჯაროდ.

1.9 საზოგადოებას აქვს საკუთარი ანგარიში ბანკში, ბეჭედი, ემბლემა და სხვა სიმბოლიკა. საზოგადოება თანასწორობის საფუძველზე თავისი მიზნებიდან გამომდინარე თანამშრომლობს საქართველოს და სხვა ქვეყნების ორგანიზაციებთან.

1.10 საზოგადოება პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. საზოგადოების ვალდებულებებისათვის მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ასევე არ აგებს პასუხს საზოგადოება თავისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

მუხლი 2. საზოგადოების მიზნები და ამოცანები

საზოგადოების მიზანია საქართველოში მეფუტკრეობის ინდუსტრიის განვითარება.

საწესდებო მიზნების მისაღწევად საზოგადოება ახორციელებს შემდეგ საქმიანობებს :

2.1. მეფუტკრეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა და ადვოკატირება;

2.2. მეფუტკრეობის პროდუქტების პოპულარიზაცია;

2.3. საქართველოში არსებული საფუტკრე მეურნეობების მართვის თანამედროვე საკანონმდებლო მოთხოვნებზე დამყარებული მოდელის დანერგვის სტიმულირება.

2.4. ფუტკრის პოპულაციების ჯანმრთელობასა და თაფლოვანი ფლორის მრავალფეროვნებაზე ზრუნვა;

2.5. კავკასიური ფუტკრის სამომშენებლო საქმის კოორდინირება;

2.6. მეთაფლე ფუტკართან და მეფუტკრეობასთან დაკავშირებული კვლევითი საქმიანობა;

2.7. მეფუტკრეობის ჟურნალისა და საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა ელექტრონული და ნაბეჭდი ფორმით.

2.8. დასახული მიზნების მისაღწევად საზოგადოება ახორციელებს აგრეთვე სხვადასხვა აკადემიურ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო–კვლევით საქმიანობას, ორგანიზებას უწევს პროექტებს და პროგრამებს.

2.9. მეფუტკრეობით დაკავებულ საწარმოებზე საზოგადოების მიერ ,,მწვანე სკა"-ს ხარისხის ნიშნის მინიჭება.

2.10. საწესდებო მიზნის მისაღწევად სხვა სახის საქმიანობებს, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

2.11. საზოგადოება უფლებამოსილია ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს საზოგადოების მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება საზოგადოების დამფუძნებლებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის დაუშვებელია.

2.12. საზოგადოების საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება მის მიზნებს, მის ორგანიზაციულ განვითარებას, ხელს უწყობს მისი მიზნების განხორციელებას ან ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს.

თავი II

საზოგადოების ქონება

მუხლი 3. საზოგადოების ქონება

3.1 საზოგადოების ქონება იქმნება შემოწირულობების, გრანტების, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.2 საზოგადოების ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მისი საწესდებო მიზნების განხორციელებას.

თავი III

საზოგადოების მმართველობა

მუხლი 4. დამფუძნებელთა საერთო კრება

4.1. საზოგადოების უმაღლეს მმართველობით ორგანოს წარმოადგენს დამფუძნებელთა საერთო კრება.

4.2. დამფუძნებელთა საერთო კრება არის საზოგადოების მუდმივმოქმედი ორგანო, რომელიც შედგება საზოგადოების დამფუძნებლებისაგან. დამფუძნებელთა საერთო

კრების წევრი საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

4.3. დამფუძნებელთა საერთო კრება უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა ის საკითხი, რომელიც ამ წესდებით და მოქმედი კანონმდებლობით განეკუთვნება საზოგადოების კომპეტენციას.

4.4. დამფუძნებელთა საერთო კრების ჩატარების ზუსტ თარიღს განსაზღვრავს და 1 კვირით ადრე კრების დღის წესრიგთან ერთად დამფუძნებლებს ატყობინებს საზოგადოების სპიკერი.

4.3. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ მის მუშაობაში მონაწილეობს დამფუძნებელთა საერთო რაოდენობის სულ მცირე 2/3.

4.4. კრება წარიმართება რეგლამენტის შესაბამისად, რომელსაც ამტკიცებს დამფუძნებელთა საერთო კრება მის დაწყებამდე.

4.5. დამფუძნებელთა საერთო კრებას იწვევს და ხელმძღვანელობს საზოგადოების სპიკერი, ასევე იგი აწერს ხელს კრების ოქმს და პასუხისმგებელია მის სიზუსტესა და ნამდვილობაზე.

4.6. დამფუძნებელთა საერთო კრება, პირისპირ შეხვედრის ფორმატის გარდა, შეიძლება ასევე ჩატარდეს ან მასში დამფუძნებელმა მონაწილეობა მიიღოს ელექტორნული საკომუნიკაციო საშუალებების (ინტერნეტი, ტელეფონი და სხვ.) გამოყენებით (ვიდეო კონფერენცია).

4.7. დამფუძნებელთა საერთო კრება მოიწვევა :

4.7.1. საზოგადოების სპიკერის ინიციატივით.

4.7.2. საზოგადოების რომელიმე დამფუძნებლის ინიციატივით.

4.7.3. საზოგადოების სპიკერისადმი საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის მიმართვის საფუძველზე.

4.8. იმისდა მიუხედავად თუ ვინ არის კრების მოწვევის ინიციატორი, კრებას შესაკრებად ეძლევა არა უმეტეს ორი კვირისა.

4.10. დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელია: ა) დამფუძნებელთა საერთო რაოდენობის სულ მცირე 2/3 -ის მონაწილეობა და შემადგენლობის სულ მცირე ნახევარზე მეტის მხარდაჭერა.

4.11. დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება ფორმდება შესაბამისი დოკუმენტის სახით და მოწმდება კრების წევრების ხელმოწერით. ონლაინ ჩატარებული კრების შემთხვევაში დოკუმენტის ელექტრონული ვერსია ეგზავნებათ დამფუძნებლებს ხელმოსაწერად, ხელმოწერა შესაძლოა იყოს შესრულებული ელექტრონულადაც. ხელმოწერილი დოკუმენტი ეგზავნება კრების ყველა წევრსა და საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს.

მუხლი 5. საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრების კომპეტენცია

საზოგადოების დამფუძნებელთა საერთო კრება :

ა) ამტკიცებს საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმასა და საბიუჯეტო პარამეტრებს;

ბ) ამტკიცებს საზოგადოების ბიუჯეტს;

გ) საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის წარდგინებით, აარსებს საზოგადოების სტრუქტურულ ერთეულებს და ახდენს მათ დაკომპლექტებას;

დ) ამტკიცებს საზოგადოების შინაგანაწესს, დებულებებს, სახელმძღვანელო ინსტრუქციას;

ე) ამტკიცებს წესდებაში ცვლილებებსა და დამატებებს, რომლის რეგისტრაციასაც ახორციელებს საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი

ვ) იღებს გადაწყვეტილებას იურიდიული პირის დაფუძნების საკითხთან დაკავშირებით;

ზ) საჭიროების შემთხვევაში, ისმენს საზოგადოების ნებისმიერი თანამშრომლის, პროგრამების/პროექტების მენეჯერ(ებ)ის, საზოგადოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირ(ებ)ის, საზოგადოების ფილიალ(ებ)ის ანგარიშ(ებ)ს;

თ) წყვეტს დამფუძნებელთა საერთო კრების წევრის უფლებამოსილების შეჩერებისა ან შეწყვეტის საკითხს;

ი) ირჩევს საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს, ისმენს მისი საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს;

კ) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების კუთვნილი ლოგოს, ბეჭედისა და სხვა ატრიბუტიკის, მესამე პირისთვის თანასარგებლობაში გადაცემის შესახებ;

ლ) უფლებამოსილია საზოგადოების ხელმძღვანელის სათათბირო ხმის უფლების გარეშე, ხმათა სრული უმრავლესობით, გააუქმოს საზოგადოების ხელმძღვანელის გადაწყვეტილება, თუ აღნიშნული ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

მ) იღებს გადაწყვეტილებას საზოგადოების რეორგანიზაცია/ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

ნ) ამტკიცებს საზოგადოების საქმიანობის წლიურ შედეგებს.

ო) უფლებამოსილია საზოგადოების მიზნებიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც საზოგადოების შიდა აქტების შესაბამისად განეკუთვნება მის კომპეტენციას.

მუხლი 6. დამფუძნებელთა საერთო კრების წევრის უფლებამოსილების შეჩერება

6.1 დამფუძნებელთა საერთო კრების წევრს უფლებამოსილება შესაძლებელია შეუჩერდეს:

ა) პირადი განცხადებით;

ბ) დამფუძნებელთა საერთო კრების ინიციატივით, შესაბამისი საფუძველის არსებობისას.

6.2 დამფუძნებელთა საერთო კრების წევრს უფლებამოსილება შესაძლებელია შეუჩერდეს განსაზღვრული ან/და განუსაზღვრელი ვადით.

მუხლი 7. დამფუძნებელთა საერთო კრების წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

7.1. დამფუძნებელთა საერთო კრების წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა შესაძლებელია:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუკი სასამართლომ ის ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

გ) თავისი ქმედებით, ლახავს საზოგადოების ღირსებას, ეწინააღმდეგება წესდებას, საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ პრინციპებს;

დ) საზოგადოების მიზნებიდან და ამოცანებიდან, საქმიანობასთან დაკავშირებით, აქვს მკვეთრად განსხვავებული ხედვა;

ე) გარდაიცვალა.

7.2. დამფუძნებელთა საერთო კრების წევრის უფლებამოსილების შეჩერების ან/და შეწყვეტის შესახებ (მისი სათათბირო ხმის უფლების გარეშე) გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელთა საერთო კრება მისი სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ის მონაწილეობით;

მუხლი 8. დამფუძნებელთა საერთო კრების ახალი წევრი

დამფუძნებელთა საერთო კრების გადაწყვეტილების საფუძველზე, დამფუძნებელთა საერთო კრების წევრების რაოდენობის სულ მცირე 2/3 ის მხარდაჭერით, დამფუძნებელთა საერთო კრების თანაბარუფლებიანი წევრი, შეიძლება გახდეს სხვა ფიზიკური პირი, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ამ წესდებით გათვალისწინებულ პირობებს.

მუხლი 9. დამფუძნებელთა საერთო კრების წევრები

დამფუძნებელთა საერთო კრების წევრები არიან :

გიორგი კაჭკაჭიშვილი,
პ.ნ. 49001014555
მისამართი: საქართველო, წყალტუბოს რ-ნი, სოფელი ბანოჯა

ნური ლაკვეხელიანი
პ.ნ. 55001027527
მისამართი: საქართველო, ხონი, სოფელი პატარა ჯიხაიში

ირაკლი ჯანაშია
პ.ნ. 62011000530
მისამართი: საქართველო, თბილისი, სპირიდონ კედიას 10 დ. ბინა 27

გივი ნინიძე
პ.ნ. 33001008061
მისამართი: საქართველო, ოზურგეთის რ-ნი, სოფელი ვაკიჯვარი

პაატა ბობოხია
პ.ნ. 51001006509
მისამართი: საქართველო, წალენჯიხის რ-ნი, სოფელი ჯგალი

მუხლი 10. ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი მოადგილე.

მუხლი 11. საზოგადოების სპიკერი

1. საზოგადოების სპიკერი არის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც იწვევს და წარმართავს დამფუძნებელთა საერთო კრებას.

2. საზოგადოების სპიკერი განსაზღვრული ან განუსაზღვრელი ვადით აირჩევა დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ დამფუძნებელთა საერთო ოდენობის ნახევარზე მეტის მხარდაჭერით.

3. საზოგადოების სპიკერი საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების პროექტს დამფუძნებელთა საერთო კრებისათვის წარსადგენად აქვეყნებს კრებამდე ერთი თვით ადრე;

4. საზოგადოების სპიკერი წარადგენს აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატს/კანდიდატებს და მის მოადგილეს/მოადგილეებს, რომლის/რომელთა არჩევაც ხდება დამფუძნებელთა საერთო რაოდენობის ხმათა 50% ზე მეტის მოპოვების შემთხვევაში.

5. საზოგადოების სპიკერი ადგენს და დამფუძნებელთა საერთო კრებას კრების დაწყებამდე დასამტკიცებლად წარუდგენს კრების დღის წესრიგს.

მუხლი 12. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი

1. საზოგადოების ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი. ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში მისი მოადგილე.

2. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი აირჩევა დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ დამფუძნებელთა საერთო ოდენობის ხმათა 50% - ზე მეტის მხარდაჭერით, 2 წლის ვადით. ის შეიძლება იყოს როგორც ერთ-ერთი დამფუძნებელი. უფლებამოსილების ვადის გასვლის ან/და უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, დამფუძნებელთა საერთო კრება ირჩევს იმავე ან ახალ აღმასრულებელ დირექტორს ახალი უფლებამოსილების ვადით.

3. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი :

ა) შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს.

ბ) ამზადებს საზოგადოების მიერ გაწეული საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს დამფუძნებელთა კრებისათვის წარსადგენად;

გ) ამტკიცებს პროექტების გეგმას და საბიუჯეტო პარამეტრებს;

დ) ნიშნავს და ანთავისუფლებს პროექტის შემსრულებელ ოფიცრებს და განსაზღვრავს მათ მოვალეობებს;

ე) კოორდინირებას უწევს პროექტების მიმდინარეობას;

ვ) ადგენს საზოგადოების თანამშრომელთა სახელფასო პირობებს;

ზ) მართავს საზოგადოების ადმინისტრაციას, რომელიც ასევე მისი რეკომენდაციით უნდა იქნეს დამტკიცებული დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ;

თ) წყვეტს სხვა საკითხებს, რომლებიც ამ წესდებით არ განეკუთვნება დამფუძნებელთა კრების კომპეტენციას.

ი) ერთპიროვნულად წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში

კ) ზედამხედველობს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას; განკარგავს საზოგადოების ფულად სახსრებსა და მატერიალურ რესურსებს და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე, ხელს აწერს შესაბამის ოფიციალურ და საფინანსო დოკუმენტაციას;

ლ) ამტკიცებს განსახორციელებელი პროგრამების პროექტებს;

მ) საზოგადოების სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს, დებს ხელშეკრულებებს, გასცემს მინდობილობებს;

ნ) ხელს აწერს საზოგადოების ყველა ოფიციალურ დოკუმენტს;

ო) დამფუძნებელთა საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციულ სტრუქტურას;

პ) გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშს წარუდგენს დამფუძნებელთა საერთო კრებას.

ჟ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ სხვა ფუნქციებს.

4. საზოგადოების ხელმძღვანელი წარმართავს და განსაზღვარვს საზოგადოების საქმიანობას და ანგარიშვალდებულია დამფუძნებელთა საერთო კრების წინაშე.

5. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობას ან გარკვეულ მოვალეობებს მისი მოადგილე შეითავსებს მხოლოდ დირექტორთან წინასწარი შეთანხმების შემთხვევაში და მაშინ როდესაც დირექტორი მოვალეობას ვერ ასრულებს

თავი IV

საზოგადოების ლიკვიდაცია / რეორგანიზაცია

მუხლი 13. საზოგადოების ლიკვიდაცია/რეორგანიზაცია

1. საზოგადოების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. საზოგადოების რესაზოგადოებისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს დამფუძნებელთა საერთო კრება.
3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავენ საზოგადოების დამფუძნებლები. საზოგადოების ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
   ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
   ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
   გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება საზოგადოების დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის.
7. თუ საზოგადოების დამფუძნებლებმა არ განსაზღვრეს ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, სასამართლო საზოადოების ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილ ქონებას გადასცემს შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც საზოგადოებას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან

შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 თვის შემდეგ.

8. ლიკვიდაციას ახორციელებს საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

თავი V
გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

მუხლი 14 . გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. აღნიშნული წესდება წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს მეფუტკეთა საზოგადოება მწვანე სკას უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტს, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოში მოქმედ და საერთაშორისო კანონმდებლობასთან და რომელთან შესაბამისობაშიც უნდა მოდიოდეს საზოგადოების ნებისმიერი სამართლებრივი აქტი.

2. წინამდებარე წესდება (დამფუძნებელთა შეთანხმება) ძალაში შედის ყველა დამფუძნებლის მიერ ხელმოწერისა და მისი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციისთანავე.

3. თუ ამ წესდების (დამფუძნებელთა შეთანხმების) რომელიმე დებულება ბათილად იქნა ცნობილი, ეს გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

4. რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაციას (დამფუძნებელთა საერთო კრების მიერ ცვლილების შეტანისა და დამტკიცების შემდეგ) ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელი.

5. ამ წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.